ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2956671

ნომერი: AR1457349

თარიღი : 17.11.2016

გაცემის თარიღი : 24.11.2016

გაცნობის თარიღი : 24.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 49 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე მიქაძე პ/ნ 01014000569
- თბილისი ბოდბეს ქ. N 6 ბ. 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 ივნისის №2799661 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 17 ნოემბრის №AR1457349 განაცხადით მომართა ალექსანდრე მიქაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 13 ივნისის №2799661 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 13 ივნისის №2799661 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა გორგასალი, №49-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.18.06.001.014), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 13 ივნისის №2799661 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირებული საცხოვრებელი ფართობი, დამხმარე ფართობი და ავტოსადგომის ფართობი არ შეესაბამება შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი ფართობი დაფიქსირდეს 2288.3 კვ.მ, დამხმარე ფართობი დაფიქსირდეს 23.0 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი დაფიქსირდეს 747.6 კვ.მ.

სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა და წარმოდგენილი ავტოსადგომის ფართობის მაჩვენებელი შეესაბამება შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული მაჩვენებლების შეცვლა, ასევე გამოიწვევს 2016 წლის 13 ივნისის №2799661 ბრძანებაში დაფიქსირებული საერთო ფართობის მაჩვენებლის შეცვლას, რომელიც, ცვლილების შედეგად, შეადგენს 4009,8 კვ.მ.–ს.
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 ივნისის №2799661 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:4009,8, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:2288.3 კვ.მ, დამხმარე ფართობი (კვ.მ).:23.0 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).:747.6 კვ.მ. სამსახურის 2016 წლის 13 ივნისის №2799661 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 ივნისის №2799661 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.